

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ეთერ მამაცაშვილი

ფინანსური რისკების სისტემური მართვა გლობალიზაციის
პირობებში

სადოქტორო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირება

შიფრი 02

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

წარდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

თბილისი

2019 წელი

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში
ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი მზევინარ ნოზაძე

რეცენზენტები:-----

დაცვა შედგება 2019 წლის ” ____ ” ივლისს, ____ საათზე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს ტექნოლოგიების
ფაკულტეტის სადისერტაციო კოლეგიის
სხდომაზე, კორპუსი VI, აუდიტორია -----,
მისამართი: 0175, თბილისი, კოსტავას 77.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სტუ-ის ბიბლიოთეკაში,
ხოლო ავტორეფერატისა - ფაკულტეტის ვებგვერდზე

სადისერტაციო საბჭოს მდივანი

ასოც. პროფესორი

/ლ. ბერიკაშვილი/

Resume

The object of study of dissertation work "Systemic management of financial risks under globalization" is as generally risk research, as well as the systematic research of financial risks in the under the current irreversible tendencies of globalization. The work consists of 126 pages - according to the "Instruction of Design of Dissertation presented for Obtaining Academic Degree of Doctorate" includes: Page title, signatures page, copyright page, summary, content, list of tables, list of drawings, main text and the list of used literature. The main text consists of the introduction, literature review, research, results and their discussion and conclusion.

In the introduction is substantiated the actuality of the topic selected for the research; The purpose and objectives of the research are described, the subject and object of research, research methods and methodology, scientific innovation are substantiated; Theoretical and practical significance of the work is substantiated; Approbation and publications, volume and structure are shown.

The literature review answers such questions as if from where comes the problem raised in the dissertation work, what is already known about this problem, what methods are used to solve the existing problem and which alternatives are used in present dissertation work.

The results and their discussion are presented as three chapters (9 paragraphs).

The first chapter is presented in the form of three paragraphs where issues such as the major stages of development of science on risk; The essence and content of the risk; Classification and management methods of economic risks. While discussing the accumulation of knowledge about risk and development process, we have characterized its basic four phases - primitive, ancient, industrial and systematization. In the second chapter we have an author's vision of risk explanation - the risk is defined as possible origin of unpredictable economic losses as a result of implementing financial and non-commercial activity and / or the failure of probability with full extent of amount comparing a pre-predicted variant.

The third part presents the classification of economic risks as a hierarchical system of interconnected elements groups or subgroups that allow us to create a joint, whole / orderly picture with the separation of its constituents. Risk classification is given according to the nature of the micro, meso and macro levels and according to its permissible limit. Also systematic and non-systematic, static and dynamic, manageable and unmanageable, worldly, regional, sectoral and etc. risk types are characterized. Economic nature and peculiarities of gold banking rules are explained.

In the second chapter - "Contents and Types of Financial Risk" - classification of financial risks is given on the basis of analysis of foreign and Georgian scientific literature, The Financial Risk Assessment Indicators and Stages of Management are characterized; Based on the study and generalization of the latest foreign literature, we have an attempt to introduce the author's definition of systemic financial risk in Georgian educational sphere, suggestion of management methods that are particularly important and relevant in the current processes of financial globalization. The issue is even more acute for countries with small economies, which belongs to Georgia itself.

In the third chapter - "Systemic management of financial risks under globalization" - it is noted that the modern global economy is a financial economy, in which financial development processes are developing at an accelerated, growing pace, during initiating new hazardous risks and crisis challenges leading to necessity a systemic financial risk management .

The virtual fictitious phenomenon of financial capital is studied as a product of the total market network and global hegemony of capital, in virtual economy and financial

globalization conditions, therefore, the entire global financial system call a disaster, a weakly regulated "black box". It is noted that global financial capital has become so huge that it has become uncontrollable. Global financial capital movement creates systemic financial risks.

Global Financial Capital (GFC) is characterized; There are various concepts on its peculiarities and specifics on the background of globalization and technological, socio-economic or political changes, as far as at the present stage the global financial capital is one of the encouraging and provocative factor of financial risk. It also discusses the functions performed by the GFC (spatial, integration, virtualization, institutional) and On capital as the structure of financial risks operating on the „value” of income expected scenarios for receiving negative results.

Globalization is discussed, as an indefinite and risk-causing factor that is confirmed not only at micro-level of economic subjects, but also at macro and mega level by the entire national economy. It allows identifying the economic and financial risks caused by globalization, also conveys the direction of development of risk management, causal links and perfection issues in modern conditions. We also discussed as causes of existing risks, as well as the directions of its management (risk management), preventive measures.

We have conducted research in Georgian business sector and academic space. General economic, specifically about the perception, identification, prevention and management of financial risks.

In conclusion, the main results, conclusions and recommendations of the research of the dissertation work that may be used for Bachelor's, Master's and Doctoral program students, for professors and teachers are briefly given. It will also assist other persons interested in studying issues of financing.

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა. თემის აქტუალურობა. ნებისმიერი ეკონომიკური სუბიექტის საქმიანობა, რომელიც ხორციელდება სხვადასხვა სფეროში და დაკავშირებულია სხვადასხვა ბიზნეს ოპერაციებთან, არის გარკვეული სახის რისკების და მასთან დაკავშირებული დანაკარგების საფრთხის შემცველი. სწორედ ასეთი სახის დანაკარგებთანაა დაკავშირებული ფინანსური რისკები. ფინანსური რისკი და მისი მართვის საკითხები მეტ აქტუალობას იძენს თანამედროვე გლობალური ეკონომიკის პირობებში, როდესაც იზრდება ქვეყნებს შორის წარმოების ფაქტორების, საქონლისა და მომსახურების, ფინანსური აქტივების საერთაშორისო მოძრაობა.

თანამედროვე გლობალურ პირობებში ახალი სახის ფინანსური ინსტრუმენტების წარმოშობა და მათი მიმოქცევა ფინანსურ ბაზრებზე, ფინანსური ბაზრის მონაწილეების მხრიდან მათი აქტიური გამოყენება წარმოადგენს დამატებით გამოწვევას ფინანსური რისკების სისტემური

მართვის თვალსაზრისით. სწორედ, საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებების და სხვა კერძო სუბიექტების საქმიანობაში ფინანსური რისკის მართვის მზარდი როლის ამალგება, არსებული ფინანსური სიტუაციის ანალიზის და რისკის შესახებ სწორი გადაწყვეტილებების მიღება მეტად მნიშვნელოვანი ხდება გლობალური ფინანსური კაპიტალის მოძრაობის პირობებში. შესაძლო დანაკარგების და ზარალის შემცირების ან თავიდან აცილების მიზნით გამოიყენება დაზღვევის და ჰეჯირების სხვადასხვა მეთოდები, რომელთა არეალი ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად გაფართოვდა და მოიცავს დაზღვევის როგორც ტრადიციულ მეთოდებს, ასევე ფინანსური აქტივების ჰეჯირების ახალ, განსხვავებულ მეთოდებს.

აღსანიშნავია, რომ ეკონომიკურ ლიტერატურაში ფინანსურ რისკებში მოიაზრება არა მხოლოდ ის რისკები, რომლებსაც გააჩნიათ ფინანსური ხასიათი, არამედ ის რისკები, რომლებიც წარმოიქმნება კომპანია-ფინანსური შუამავლების საქმიანობაში.

მიუხედავად იმისა, რომ ამ მიმართულებით გარკვეული კვლევა და ანალიზია ჩატარებული, საჭიროა თეორიული პოზიციების გადახედვა და გლობალიზაციის პირობებში ფინანსური რისკების სისტემური მართვის საკითხებისადმი ახლებური მიდგომა. ეს კი მოითხოვს აღნიშნულ საკითხზე სამეცნიერო კვლევების გაღრმავებას და გაუმჯობესებას.

სწორედ ამ საკითხების სისტემურ შესწავლას და ანალიზს ეძღვნება წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომი.

კვლევის მეცნიერული სიახლე. მდგომარეობს გლობალიზაციის პირობებში ფინანსური რისკების მართვის სისტემურ შესწავლასა და მისთვის დამახასიათებელი თავისებურებათა განსაზღვრაში. მეცნიერული სიახლის კონკრეტული ელემენტები მდგომარეობს შემდეგში:

➤ განსაზღვრულია რისკების, კონკრეტულად კი, ფინანსური რისკების არსი და თავისებურებანი, ახსნილია რისკების მართვის შინაარსი და მოცემულია ფინანსური რისკების ახალი ფორმულირება ფინანსური გლობალიზაციის პირობებში;

➤ შემოთავაზებულია ფინანსური რისკის მართვის ავტორისეული მე-

თოდები და ჩამოყალიბებულია მათი პრაქტიკაში გამოყენების კონკრეტული წინადადებები ფინანსური გლობალიზაციის პირობებში;

➤ ფინანსური გლობალიზაციის პირობებში საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებებში ფინანსური რისკების მართვის არსებული მეთოდების ანალიზის საფუძველზე შემუშავებულია წინადადებები ფინანსური რისკის მართვის ახალი მეთოდების პრაქტიკაში დანერგვასთან მიმართებაში;

➤ შემუშავებულია ფინანსურ ინსტრუმენტებთან, მათ შორის წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული რისკების მართვის მეთოდები ქართულ პრაქტიკაში დანერგვის შესახებ;

➤ ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზის შესწავლის საფუძველზე შემუშავებულია მისი სრულყოფის წინადადებები.

კვლევის მიზანი და ამოცანები. კვლევის მიზანია გლობალიზაციის პირობებში ფინანსური რისკების სისტემური მართვის ანალიზი და მისი სრულყოფის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, ნაშრომში დასახულია შემდეგი ამოცანები:

- ეკონომიკურ ლიტერატურაში არსებული შეხედულებების საფუძველზე, რისკების სისტემაში ფინანსური რისკების ადგილის და როლის განსაზღვრა;

- გლობალიზაციის პირობებში სხვადასხვა სახის რისკებს შორის კავშირურთიერთობების გამოვლენა;

- ფინანსური რისკების სისტემური მართვის საერთაშორისო გამოცდილების ანალიზი და შეფასება, საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებებში რისკების მართვის მეთოდების და ტექნიკის გამოყენება;

- ფინანსური რისკების მართვის ქართული გამოცდილების ანალიზი და შეფასება, პრობლემის იდენტიფიცირება და მათი გადაჭრის მიმართულებების განსაზღვრა;

- ფინანსური რისკების მართვის კვლევის საფუძველზე ფინანსურ ინსტრუმენტებთან, და ზოგადად, ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული

ფინანსური რისკების სისტემური მართვის სრულყოფის საკითხების დამუშავება.

კვლევის ობიექტი და საგანი. კვლევის საგანი არის ფინანსური რისკების მართვა გლობალური ეკონომიკური ურთიერთობების პირობებში.

კვლევის ობიექტია ის ეკონომიკური სუბიექტები, რომელთა საქმიანობა მაღალი ხარისხით დაკავშირებულია ფინანსურ რისკებთან.

კვლევის მეთოდოლოგია ემყარება შემდეგ მეთოდებს და მეთოდოლოგიებს: კვლევაში ძირითადად გამოყენებულია მონაცემთა დამუშავების და ანალიზის მეთოდი, რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები, სტატისტიკურ-ეკონომიკური ანალიზის მეთოდი. სადისერტაციო ნაშრომი დაფუძნებულია ქართული და უცხოური ინსტიტუციონალური ბაზის, ქართული და უცხოური ლიტერატურის და საერთაშორისო და ქართული გამოცდილების, კონკრეტული მაგალითების გაანალიზების და სინთეზის თეორიაზე. ნაშრომში დასკვნები გამოტანილია ფაქტების მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გამოყენებით. საკვანძო საკითხები გადაწყვეტილია კონტროლისა და ფუნქციონირების კავშირურთიერთობების საფუძველზე. ფაქტების დაჯგუფების და საერთო მახასიათებლებით გაერთიანების საფუძველზე ჩამოყალიბებულია ძირითადი საკვლევი მიმართულებები.

კვლევის მეთოდები: კვლევაში აქტიურადაა გამოყენებული მონაცემთა გაზომვის მეთოდი და ანკეტური გამოკითხვის მეთოდი (ღია და დახურული ტიპის კითხვარის კომბინაცია).

გამოვლენილია საკვლევი საკითხი, რომლის ირგვლივაც შერჩეული კითხვების დასმის საფუძველზე ჩამოყალიბებულია ძირითადი ჰიპოთეზები, ჰიპოთეზაზე დაყრდნობით კი გაკეთებულია მომავლის პროგნოზი. შეძლებისდაგვარად შემოწმებულია გაკეთებული პროგნოზი მიღებული შედეგების საფუძველზე დასმულია კვლევის ძირითადი აქცენტები, შედეგები და შემუშავებულია რეკომენდაციები.

მონაცემთა დამუშავების და ანალიზის მეთოდი - გამოყენებული გვაქვს პირველ თავში, რომელშიც აღწერილი გვაქვს თუ საიდან იღებს დასაბამს

ფინანსური რისკების მართვის პრობლემატიკა. განხილულია, გლობალურ დონეზე მოქმედი რისკების გავლენის სპეციფიკა როგორც საქართველოში, ასევე ზოგადად პოსტსოციალისტური ქვეყნების და განვითარებული ქვეყნების მაგალითზე.

პრობლემაზე დაფუძნებული კვლევის, ანალიზისა და სინთეზის მეთოდი მეთოდი გამოყენებული გვაქვს სადისერტაციო ნაშრომის მეორე თავის მეორე და მესამე ქვეთავში, სადაც აღწერილია ფინანსური გლობალიზაციის მიმდინარე ეტაპზე ფინანსური რისკების მოქმედების შედეგად იდენტიფიცირებული პრობლემები მიკრო (საწარმოთა, კორპორაციათა) და მაკრო (სახელმწიფოს, რეგიონის) დონეზე. აღწერილია ფაქტობრივად არსებული და სავარაუდო, პროგნოზირებადი პრობლემის დამლევის გზები, რომელიც შესაძლებელი იქნება ფინანსური ნაკადების მართვის მათემატიკური მოდელის გამოყენებით;

სისტემური ანალიზის და რედუქციული მეთოდი - რომლის შესაბამისად დადგენილია *ცვლად და/ან მუდმივ ელემენტებს შორის სტრუქტურული კავშირების ქმედებების თანმიმდევრობა*, გავაანალიზეთ ფინანსური მენეჯმენტის სრულყოფის საკითხების მიმართ არსებული რისკები. რისკების ანალიზის მეთოდი საშუალებას მოგვცემს და დაგვეხმარება მოკლევადიანი და გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმის და SWOT ანალიზის შემუშავებისას მართებულად და გონივრულად იყოს შემუშავებული ფინანსური ნაკადების მართვის მოდელი, რათა თავიდან იქნეს აცილებული რისკები.

კვლევის თეორიული საფუძველია ქართველი და უცხოელი მეცნიერების ნაშრომები - პოსტსაბჭოური საზოგადოებრივ-ეკონომიკური სისტემის და უმაღლესი საგანმანათლებლო სფეროს სრულყოფის გზები კვლევის თეორიული საფუძველია აგრეთვე საერთაშორისო, ადგილობრივი და ნორმატიული დოკუმენტები, აგრეთვე სამეცნიერო კონფერენციებზე გაწეული რეკომენდაციები.

კვლევის ემპირიული ბაზა - ძირითადად მოიცავს საქართველოს, როგორც კერძო ისე საჯარო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს; ქართველი და უცხოელი

ავტორების კვლევებსა, მონოგრაფიებსა და სამეცნიერო სტატიებში გამოქვეყნებულ მასალებს; ინტერნეტ რესურსებს; ინსტიტუციონალურ დოკუმენტებს და დისერტანტის ჩატარებული კვლევის შედეგებს.

კვლის ძირითადი შედეგები და შედეგების გამოყენების სფერო. კვლის შედეგების პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ მიღებული დასკვნებისა და რეკომენდაციების რეალიზაცია შესაძლებელს გახდის ეკონომიკური სუბიექტების საქმიანობასა და ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული ფინანსური რისკების მართვის ეფექტიანობის ამაღლებას.

სადისერტაციო გამოკვლევის ძირითადი შედეგები შესაძლოა გამოყენებულ იქნეს საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებების მიერ რისკების მართვის მეთოდური უზრუნველყოფისას, აგრეთვე, საგანმანათლებლო და კვლევითი ორგანიზაციების მიერ და სასწავლო პროგრამების და შესაბამისი სამეცნიერო ნაშრომების მომზადებისას.

დისერტანტის მიერ ჩატარებული გამოკვლევისას იდენტიფიცირებული სიახლეები და პრობლემები რეკომენდაციების სახით გამოქვეყნებულია ავტორის მიერ სხვადასხვა სამეცნიერო სტატიებში, გაკეთებული იქნა მოხსენებები ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებზე.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა. სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავისა და ცხრა ქვეთავისაგან, დასკვნისაგან, გამოყენებული ლიტერატურის ნუსხისაგან და მთლიანობაში კომპიუტერული ნაბეჭდი 140 გვერდისაგან.

ნაშრომის ძირითადი შინაარსი

შესავალში დასაბუთებულია კვლევისათვის შერჩეული თემის აქტუალობა; აღწერილია კვლევის მიზანი და ამოცანები, დასაბუთებულია კვლევის საგანი და ობიექტი, კვლევის მეთოდები და მეთოდოლოგია, მეცნიერული სიახლე; დასაბუთებულია ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა; ნაჩვენებია აპრობაცია და პუბლიკაციები, მოცულობა და სტრუქტურა.

ლიტერატურის მიმოხილვა პასუხობს ისეთ კითხვებს, როგორცაა თუ

საიდან მომდინარეობს სადისერტაციო ნაშრომში წამოჭრილი პრობლემა, რა არის უკვე ცნობილი ამ პრობლემის შესახებ, რა მეთოდები არის გამოყენებული არსებული პრობლემის გადასაჭრელად და რომელი ალტერნატიული მეთოდებია გამოყენებული წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში.

სადისერტაციო ნაშრომის პირველ თავში - „რისკი, როგორც მართვის ობიექტი“ - განხილულია რისკის შესახებ მეცნიერების განვითარების ძირითადი ეტაპები. აღნიშნულია, რომ ადამიანთა საზოგადოების ყოველდღიურ საქმიანობას ყველა დროში თან პერმანენტულად განუსაზღვრელი რისკის წილი ახლდა, რომელიც ადამიანების საკუთარი გადაწყვეტილების შედეგი იყო ან მათი სურვილისა და მისწრაფებებისაგან დამოუკიდებლად არსებობდა. საზოგადოების ევოლუციის, საქმიანობის სახეობების გაფართოებისა და გართულებისა და გართულების შესაბამისად, შესაძლო საშიშროებების ჩამონათვალი იზრდებოდა, მათი ხასიათი, წარმოშობის სფერო, მიმართულება და ზემოქმედების ძალა იცვლებოდა.

ზოგადად, რისკის შესახებ ცოდნის დაგროვებისა და განვითარების პროცესის განხილვისას, შეიძლება ოთხი ძირითადი ეტაპი გამოიყოს, რომელთა განმავლობაში რისკის შესახებ თანამედროვე მეცნიერული წარმოდგენები ყალიბდებოდა, როგორცაა: პირველყოფილი, უძველესი, ინდუსტრიული და სისტემატიზაციის ეტაპები.

ეკონომიკურ მეცნიერებათა თეორიაში რისკის ცნების შემოღებასა და დამკვიდრებას მიზნად ფრანგ ეკონომისტს რ. კანტილონს, რომელიც რისკს, როგორც კონკურენციის წესების მიხედვით წარმართული ნებისმიერი სავაჭრო საქმიანობისათვის თვისების სახეობად განიხილავდა. მოვაჭრეს მოგებას და დანაკარგებს იგი აფასებდა, როგორც განუსაზღვრელობისა და რისკის შედეგს. მიუხედავად მრავალი წინააღმდეგობებისა, თანამედროვე დასავლეთის ეკონომისტები ამ აღნიშნულ ფრანგ მეცნიერს რისკების თეორიის ფუძემდებლად თვლიან.

კაპიტალისტური ურთიერთობების წარმოშობასთან და განვითარებასთან არის დაკავშირებული მეცნიერული აზრისა და „რისკების“ ცნების შემდგომი შესწავლის აქტივიზაცია. სამეწარმეო საქმეში რისკის არსებობის

პრობლემას ეკონომიკური თეორიის კლასიკოსები დიდ ყურადღებას უთმობდნენ. ამ პერიოდში რისკების თეორიის განვითარება ორი მიმართულებით - კლასიკური და, უფრო გვიან, ნეოკლასიკური მიმართულებით მიმდინარეობდა.

XX საუკუნის ბოლოსათვის ეკონომიკური რისკის თეორია საბოლოოდ როგორც ცალკე მეცნიერება ჩამოყალიბდა, „რისკის კატეგორიამ“ საერთო-სამეცნიერო კატეგორიისა და დისციპლინათაშორისი გამოკვლევების სტატუსი შეიძინა. უთუოდ რისკის შესახებ ცოდნის, როგორც საერთო-მეცნიერული ისტორია კატეგორიის სახით დაგროვებისა და გავრცობის პროცესს ხანგრძლივი ისტორია გააჩნია და იგი დღესაც გრძელდება.

დღეს რისკთან დაკავშირებული სხვადასხვა ასპექტები, რომლებიც საზოგადოებრივი ცხოვრების პრაქტიკულად ყველა სფეროში არსებობს, ეკონომიკური თეორიის, სტატისტიკის, მათემატიკის, ალბათობის თეორიის, თამაშების, გადაწყვეტილებების მიღების, ფსიქოლოგიის, აგრეთვე თავდაცვის, იურიდიული, ეკონომიკური, სამედიცინო და სხვა დისციპლინების თეორიების მეშვეობით შეისწავლება.

სხვა სიტყვებით, რისკის შესახებ თანამედროვე ცოდნის ერთობლიობა მიზანშეწონილია ურთიერთშემავსებელ ორ დონედ დაიყოს: საერთო-თეორეტიკულად და თეორიულ-თანდებულად.

მეცნიერული გამოკვლევები საერთო-თეორეტიკულ დონეზე ძირითადად ფილოსოფიისა და სოციოლოგიის თვალსაზრისით ხორციელდება და იგი თანამედროვე, სწრაფად ცვალებად პირობებთან მიმართებაში, „რისკის“ ცნების არსისა და შინაარსის, მისი სპეციფიკური თავისებურებებისა და ფუნქციების, მოცემული მოვლენის სუბიექტური და ობიექტური მხარეების შესწავლით მუდგანდება. ერთდროულად, რისკების ძირითად თეორიებზე დაყრდნობის შედეგად, ერთდროულად ანალიზის, გაზომვის მექანიზმების, ახალი საშიშროებებისა და პროგნოზირების საფუძველზეადამიანების საყოფაცხოვრებო სხვადასხვა სპერციფიკურ სფეროებთან მიმართებაში კონკრეტული მეთოდიკების შემუშავება უკვე თეორიულ-თანდებულ დონეზე ხორციელდება.

XX საუკუნის მეორე ნახევარში რისკის თემატიკისადმი საყოველთაო ინტერესი სავსებით საფუძვლიანია. მეცნიერთა უმეტესობა თვლის, რომ ამ მიმართულებით მეცნიერული გამოკვლევების აქტივიზაციის მასტიმულირებელ ფაქტორად ბუნებრივი, ტექნოლოგიური, ჰუმანიტარული ხასიათის, ასევე რისკის თეორიის განვითარებაში შემდგომი ნაბიჯები მსხვილი სამრეწველო კატასტროფებით იყო ინიცირებული.

თანამედროვე მსოფლიოში მნიშვნელოვანი გადახრა რისკის ეკონომიკური ასპექტების შესწავლაზე კეთდება, რომელიც ბანკების, სადაზღვევო კომპანიებისა და ბირჟების ოპერაციებთან საერთაშორისო კორპორაციებისა და მცირე ფირმების სამეწარმეო და მმართველობითი საქმიანობის განხორციელებასთან არის დაკავშირებული. ამიტომ, თანამედროვე პირობებში ეკონომიკური რისკების შესახებ მეცნიერული კვლევების გაღრმავება ბიზნესის სხვადასხვა სფეროებში სულ უფრო მოთხოვნადი ხდება.¹

„რისკის“ ცნება ადამიანური საქმიანობის ნებისმიერი სახეობის როგორც განუყოფელი ატრიბუტი, მყარად შევიდა ჩვენს ცხოვრებაში. აღნიშნული გარემოება, ერთი მხრივ, რისკის შესახებ მეცნიერების განვითარების, მისი ფუნქციების, თავისებურებების, რისკების ფაქტორების სახით დამატებით სტიმულს წარმოადგენს. მეორე მხრივ, იგი - გამოკვლევების ნაირსახეობას, ეკონომიკური რისკის თეორიის ძირითადი ცნებისადმი მიდგომის მრავალფეროვნებას გამოხატავს.

„რისკის“ ფენომენისთვის რიგი განსაკუთრებული თვისებებია დამახასიათებელი, რომელთა შორის უფრო მეტად მნიშვნელოვანს - ალტერნატიულობა, განუსაზღვრელობა, წინააღმდეგობრიობა წარმოადგენს.

ამიტომ, რისკის პრობლემატიკასთან დაკავშირებულ ლიტერატურაში სამი ძირითადი თვალსაზრისი, ან რისკის ბუნების კონცენტრაცია განიხილება, როგორებიცაა: ობიექტური, სუბიექტური და შერეული, ანუ ობიექტურ-სუბიექტური.

ეკონომიკური რისკების მთლიანი ერთობლიობა ძალიან მრავალფე-

¹ ცაავა გ., აბრამია თ., ცაავა დ. - „რისკოლოგია - ფინანსური და საბანკო საკრედიტო რისკების მენეჯმენტი“-78-130 გვ.

როვანი და რთულია არა მარტო მათი აღქმის, არამედ მათი მართვის თვალსაზრისითაც. ამასთან ერთად, რისკების მართვის ორგანიზაციის ეფექტიანობა ბევრად არის დამოკიდებული მათ კლასიფიკაციაზე.

ეკონომიკური რისკების პრობლემებზე მიძღვნილ სპეციალურ ლიტერატურაში ჯერ-ჯერობით მათი კლასიფიცირების მწყობრი სისტემა ბოლომდე ჩამოყალიბებული არ არის. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, ეკონომიკური რისკების კლასიფიკაცია ხდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: შედეგების თავისებურებების მიხედვით; წარმოქმნის დონის მიხედვით; წარმოშობის სფეროების მიხედვით; დროის ხანგრძლივობის მიხედვით და სხვ

ფინანსური რისკების მართვა ხორციელდება შემდეგ რისკებთან მიმართებაში: საკრედიტო; საბაზრო; გეოგრაფიული; სავალუტო; ლიკვიდობის; საპროცენტო განაკვეთის. გარდა აღნიშნულისა, ასევე საოპერაციო და იურიდიულ რისკებსაც გამოყოფენ.

რისკების მართვის მიზნებია შესაძლებელია შემდეგი სახით ჩამოვაყალიბოთ: რისკის თავიდან აცილება, ინვესტორის მიმართ რისკის ხარისხის შემცირება, რისკის შესამე პირზე გადაცემა.

რისკების მართვის პრინციპებდან გამოყოფენ: ღირებულება, გამჭვირვალობა, უწყვეტი გაუმჯობესება, ადამიანური ფაქტორები, მიზნის გაზომვა, გადაწყვეტილების მიღება, ინტეგრაცია.

რისკის შემცირების ძირითადი ხერხებიდან მნიშვნელოვანია: დივერსიფიკაცია; ლიმიტირება, თვითდაზღვევა, დაზღვევა, ჰეჯირება; მსესხებლის კრედიტუნარიანობის შეფასება და სხვ.

ფინანსური მართვის მეთოდები: ფინანსური ანალიზი, ფინანსური კოეფიციენტების მეთოდი და ფულადი ნაკადების ანალიზის მეთოდი, ფინანსური დაგეგმვა, აქტივებისა და პასივების თანხების, ვადების, ფასების მიხედვით დივერსიფიკაცია, ხაზინის შექმნის გზით მოკლევადიანი აქტივებისა და ვალდებულებების სახაზინო მართვა, სეკიურითიზაცია, ბიუჯეტირება და სხვ.

სადისრეტაციო ნაშრომის მეორე თავში - „ფინანსური რისკების შინაარ-

სი და სახეობები“ განხილვის ობიექტია ფინანსური რისკების კლასიფიკაცია, რომლის მრავალი ვარიანტი არსებობს და უკეთესის არჩევა კონკრეტული ანალიზის მიზნებზე არის დამოკიდებული. გავანალიზებთ ფინანსური რისკების ძირითად სახეობებს, რომლებიც კომერციული ბანკებისა და მსხვილი საერთაშორისო კორპორაციების მართვის ყოველდღიურ პრაქტიკასთან უფრო მჭიდროდ არის დაკავშირებული და ისინი მართვის ფაქტორებისა და მეთოდების თავისებურებათა მიხედვით განსხვავდებიან.

რისკის თითოეული სახეობის განსაზღვრის სირთულე მათ მრავალასპექტიანობასთან არის დაკავშირებული. ინფლაციურ რისკთან, ანუ ფულის მსყიდველობითი შესაძლებლობის შემცირების რისკთან ერთად - ფინანსური რისკების ძირითად სახეობებს ასევე: საკრედიტო, ლიკვიდობის, საპროცენტო, რეინვესტირების რისკი, სავალუტო და საბაზრო რისკები მიეკუთვნება.

რისკების უმრავლესობა ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული და ყველა რისკები, საბოლოო ჯამში, ლიკვიდობის რისკში ვლინდება. ასევე კიდევ რიგი მნიშვნელოვანი რისკების განხილვის აუცილებლობა მივიჩნიეთ მიზანშეწონილად.

ფინანსური რისკი, ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით - ნასესხები სახსრების გამოყენების რისკს წარმოადგენს. იგი რისკია იმისა, რომ ნასესხები (მოზიდული) სახსრების გამოყენებისაგან მიღებული დამატებითი შემოსავალი, მოზიდულ სახსრებზე ფიქსირებული პროცენტების გადახდის შემდეგ, საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებების ნორმალური განვითარებისათვის საკმარისი არ იქნება. მისი სიდიდის მაჩვენებელს ფინანსური ბერკეტი (Leverage), ანუ კაპიტალის მულტიპლიკატორი (მლტ) ემსახურება, რომელიც ფირმის აქტივების (აქ) საერთო მოცულობის საკუთარი კაპიტალის (სკ) სიდიდესთან თანაფარდობას გამოხატავს (აქტივები და კაპიტალის საშუალოშეწონილი სიდიდით გაითვალისწინება):

მლტ = აქტივები / საკუთარი კაპიტალი, (ერთეულებში).

მაგალითად, თუ მსხვილი ბანკის კაპიტალის მულტიპლიკატორის სიდიდე 15 ერთეულის ტოლია, აღნიშნული ნიშნავს, რომ აქციების

საკუთარი სახსრების 1 დოლარი (ლარი) - აქტივების 15 დოლარით (ლარით) არიას მხარდაჭერილი, რომლის 1 ერთეული მიღებულია საკუთარი სახსრების ინვესტიციებისაგან, ხოლო დანარჩენი 14 კი - ნასესხები (მოზიდული) სახსრების ინვესტირებისაგან. ეკონომიკური ზრდის პერიოდში მოზიდული სახსრები ისეთი სახის ბერკეტს წარმოადგენენ, რომლის მეშვეობით საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის (ROE) გადიდების, ხოლო ვარდნის პერიოდში კი - რისკის ფაქტორს წარმოადგენს.

საქმიანი რისკი - არის კონკრეტული ფირმის საქმიანობის პირობებთან დაკავშირებული რისკი. იგი რისკია იმისა, რომ ფირმას თავის სამეურნეო საქმიანობაში შეიძლება შემდეგი სახის პრობლემები გაუჩნდეს, როგორებიცაა: მოთხოვნის შემცირება, მოწყობილობის დაძველება, კონტრაქტების გაწყვეტა და სხვა სახის ინდივიდუალური პრობლემები.

ქვეყნის (სუვერენული, სისტემური) რისკი - არის ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური პირობების შეცვლიდან გამომდინარე, იმ ხარისხით ცვლილების რისკი, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფო სტრუქტურებზე და დაწესებულებებზე, კერძო საწარმოებზე და სხვა კატეგორიის მსესხებლების პასუხისმგებლობაზე ზემოქმედების განხორციელება არის შესაძლებელი.

მსოფლიო ბანკის რისკების კლასიფიკაცია, ფინანსურ რისკებთან ერთად, საბანკო რისკების ძირითადი ჯგუფების სახით, ასევე: საოპერაციო, საქმიან რისკებს (ბიზნეს-გარემოსი) და საგანგებო გარემოებების რისკებს ითვალისწინებს.

საფინანსო და საოპერაციო რისკები - უმნიშვნელოვანესია საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციის წარმატებისათვის და იგი საბანკო სისტემის მართვის ეფექტიანობაზე არის დამოკიდებული. რისკების დანარჩენი ორო ჯგუფი (საქმიანი რისკი და საგანგებო გარემოების რისკი) საგარეოს წარმოადგენენ, რომლებიც მის მუშაობაში გაითვალისწინება, მაგრამ ისინი უშუალოდ ბანკზე დამოკიდებულაბი არ არიან.

ჩვეულებრივ აქტივებთან ძირითადად - საკრედიტო და სავალუტო რისკები არის დაკავშირებული, ხოლო სპეკულაციურ აქტივებთან კი - სავა-

ლუტო, პოზიციის, სასაქონლო, საანგარიშსწორებო რისკები და კონტრაგენტების (გარიგებასთან დაკავშირებული პარტნიორი) რისკთან არის დაკავშირებული.

აღნიშნულია, რომ ფინანსური რისკების ზოგადი კლასიფიკაციის გაცნობა საშუალებას გვაძლევს გავეცნოთ რისკების ხასიათს, მათი მოქმედების სპეციფიკურ თავისებურებებს, იმ სავარაუდო ნეგატიურ შედეგებს, რომელიც შესაძლოა დადგეს გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში. ფინანსური რისკების გაცნობამ/ანალიზმა გვაჩვენა, თუ მათი მათი (ფინანსური რისკების) სახეობებიდან გამომდინარე რომელი სახის რისკებია შედარებით მნიშვნელოვანი, კორელაციაში რომელი მეტ გავლენას ახდენს საბოლოო შედეგზე. ამის გათვალისწინებით კი შეგვიძლია მეტი ყრადღება გავამახვილოთ რისკების იმ სახეებზე, რომლის გავლენის ხარისხი უფრო მაღალია.

ფინანსური რისკების შეფასების მაჩვენებლებთან მიმართებაში უნდა აღინიშნოს, რომ ფინანსური რისკების - აქტივების ღირებულებისა და მათი შემოსავლიანობის განუსაზღვრელობის ხარისხის ტრადიციულ საზომს - დისპერსიის - „სიგმა²“, სტანდარტული გადახრის - „სიგმა“ და ვარიაციის კოეფიციენტის - $K_{ვარ}$ მაჩვენებლები გამოიყენება.

ვარიაციის კოეფიციენტი განისაზღვრება როგორც:

$$K_{ვარ} = \text{სიგმა} / X.$$

სამივე კოეფიციენტს ერთნაირ შეფასებამდე მივყავართ, მაგრამ ვარიაციის კოეფიციენტი უფრო მისაღებია ვარიანტების შედარებისას, რომელთაგან ერთ-ერთი, როგორც შემოსავლიანობის, ასევე რისკის უფრო მაღალი დონე გააჩნია, ვინაიდან იგი შემოსავლიანობის ერთეულზე ან ღირებულებაზე განუსაზღვრელობის ხარისხის მახასიათებელია.

ფინანსური რისკების მართვის ძირითადი ეტაპებიდან დეტალურად განვიხილეთ: რისკების ძირითადი სახეობების იდენტიფიკაცია, რისკების სიდიდის შეფასება და გაზომვა, დაცვის მეთოდების არჩევა და გამოყენება, მიმდინარე სიტუაციის მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში ადრე მიღებული გადაწყვეტილებების კორექტირება, მართვის პროცესში ეფექტურობის ანალიზი.

დისერტაციის ამავე (მეორე) თავში განხილული გვაქვს ფინანსური რისკის ახალი სახის/კატეგორიის შესახებ, როგორცაა სისტემური ფინანსური რისკები, როგორც ფინანსური რისკის განსაკუთრებული სახე. გლობალური ფინანსური კრიზისის დაწყებისას, პრობლემის მასშტაბების, სიმწვავისა და "უგულებელყოფის" შესახებ (დარღვევების დაგროვების, წესრიგის არარსებობის, ზედმეტი უარყოფით გავლენის), გაჩნდა ცნება რომელიც წარმოადგენდა საერთოს მთელი კაცობრიობისთვის. მაშინ გაჩნდა ტერმინი "გლობალური სისტემური ფინანსური რისკები".

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ახალი პოსტკრიზისული (მოდით ასე ვუწოდოთ) ფინანსური ტერმინოლოგია ნებისმიერ ინტერპრეტაციაში ეფუძნება ორ ძირითად კონცეფციას, რომელიც შეავსებს ყველა დანარჩენს შესაბამისი შინაარსით. ეს არის გლობალური ფინანსური კაპიტალი და გლობალური სისტემური ფინანსური რისკები.

გლობალური ფინანსური რისკები ოფიციალურად აღიარებულია, როგორც საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ. ასევე ყოველწლიურად, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი (WEF) ადგენს ანალიზს გლობალური რისკების შესახებ. ტრადიციულად, მათ შორის წამყვანი ადგილი უკავია ფინანსურ საფრთხეებს.

ყველაზე ხშირად, სისტემური რისკების კონცეფცია გამოიყენება ფინანსურ ბაზრებთან მიმართებაში. ისინი ფინანსურ სფეროში ჩამოყალიბდებიან და რეალურ საფრთხეს უქმნიან ეროვნული ბიუჯეტის, პენსიის, დაზღვევის, საბანკო სისტემების და მსოფლიო ბაზრის სტაბილურობას. სისტემური ფინანსური რისკები მათი რეალიზაციის შემთხვევაში სერიოზულ სოციალურ და ეკონომიკურ რყევებს უკავშირდება, რომლებიც ხასიათდება უმუშევრობის ზრდის, საბირჟო კრახის, საწარმოებისა და ბანკების მასიური გაკოტრების, ეროვნული ვალუტის გაუფასურების სახით და ა.შ.

თანამედროვე ფინანსურ სამყაროში გლობალური ეკონომიკა დამახასიათებელია სტაბილური ურთიერთკავშირებით, მჭიდრო კავშირებით ყველა რგოლებს შორის, რომელთა როლში გამოდის ეროვნული ეკონომიკა, რეგიონალური ასოციაციების (მაგალითად, ევროკავშირი), ისევე როგორც

კავშირების, სახელმწიფოთა თანამეგობრობასთან დაკავშირებული ყველა კავშირის ღრმა ინტეგრაცია კონკრეტული პოლიტიკური ეკონომიკური მიზნებისთვის (მაგალითად, BRICS). ერთ-ერთი კავშირის კრიზისი ქმნის ჯაჭვურ რეაქციას და სისტემაში შეშფოთებას იწვევს. სისტემური რისკი არის ის რისკი, რომელიც დაკავშირებულია ერთ-ერთ მონაწილეთა უუნარობას მათი ვალდებულებების შესასრულებლად (ან მათ სწორად შესრულებასს) და იწვევს სხვა მონაწილეთა ფუნქციონირების დარღვევას,მასაშადამე მთლიანობაში მთელი სისტემის.

თანამედროვე ფინანსურ სამყაროში გლობალური ეკონომიკა დამახასიათებელია სტაბილური ურთიერთკავშირებით, მჭიდრო კავშირებით ყველა რგოლებს შორის, რომელთა როლში გამოდის ეროვნული ეკონომიკა, რეგიონალური ასოციაციების (მაგალითად, ევროკავშირი), ისევე როგორც კავშირების, სახელმწიფოთა თანამეგობრობასთან დაკავშირებული ყველა კავშირის ღრმა ინტეგრაცია კონკრეტული პოლიტიკური ეკონომიკური მიზნებისთვის (მაგალითად, BRICS). ერთ-ერთი კავშირის კრიზისი ქმნის ჯაჭვურ რეაქციას და სისტემაში შეშფოთებას იწვევს. სისტემური რისკი არის ის რისკი, რომელიც დაკავშირებულია ერთ-ერთ მონაწილეთა უუნარობას მათი ვალდებულებების შესასრულებლად (ან მათ სწორად შესრულებასს) და იწვევს სხვა მონაწილეთა ფუნქციონირების დარღვევას,მასაშადამე მთლიანობაში მთელი სისტემის.

დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ სისტემური ფინანსური რისკები არის სისტემის რისკები, როგორც ერთმანეთთან დაკავშირებული ელემენტების განუყოფელი კომპლექსი ორგანიზაციაში. სისტემაში ერთიანი განსაზღვრება არ არსებობს, თუმცა მათემატიკური, ლოგიკური, ზოგადი სამეცნიერო მიდგომა ამ პრობლემის მიმართ არსებობს. სისტემის განსაზღვრის სხვადასხვა გზები განპირობებულია სისტემური კვლევით, ამოცანებით, რომლებსაც მკვლევარი აწყდება.

სადისერტაციო ნაშრომის მესამე თავში - „ფინანსური რისკების სისტემური მართვა გლობალიზაციის პირობებში“, განვიხილეთ გლობალიზაცია, როგორც ფინანსური რისკების ზრდის ფაქტორი, გლობალური ფინან-

სური კაპიტალი, როგორც ფინანსური რისკის წყარო, რეკომენდაციები საქართველოში ფინანსური რისკების რეგულირების შემდგომი რეფორმების შესახებ.

გლობალიზაციის მიმდინარე ტენდენციებს თან სდევს მსოფლიო მეურნეობის კავშირების და თანამშრომლობის დაჩქარებული და მასშტაბური ზრდა, საქონლის და მომსახურების საერთაშორისო ვაჭრობის გაფართოება და დივერსიფიკაცია, კაპიტალის საერთაშორისო მიგრაცია, საერთაშორისო საწარმოო კოოპერირება, საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობა და გაცვლა. მას განასხვავებს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მჭიდრო ფუნქციონალური ურთიერთკავშირი, მისი მზარდი ზეგავლენა ეროვნულ ეკონომიკაზე, სახელმწიფოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის შეზღუდვა საერთაშორისო ინსტიტუციონალური და საბაზრო რეგულირების პირობებში.

მსოფლიო მასშტაბით ბაზრების და ეროვნული ეკონომიკის გახსნილობა (ღიაობა) აძლიერებს კონკურენციას, ქვეყნების უთანაბრობას სარგებლის მიღებაში. გლობალიზაციას თან ახლავს ნეგატიური შედეგების განვითარება ჩამორჩენილ ქვეყნებში, რომლებიც მიისწრაფიან ფეხი აუწყონ მსოფლიო მეურნეობას და გაუთანაბრდნენ განვითარებულ ქვეყნებს, მათ აქვთ მცირე შესაძლებლობები მსოფლიოსამეურნეო პირობებისადმი.

როგორც მსოფლიო ეკონომიკის მიმდინარე ტენდენციები მოწმობს, საკმაოდ ხშირად, დადებითი მოვლენა წარმოშობს თავის წინააღმდეგობას ამა თუ იმ ნეგატიური შედეგის სახით, რომელიც წარმოადგენს ეკონომიკური რისკების მიზეზებს. მოცემული გამოთქმები მთლიანად და სრულად გამოიყენება საზოგადოების ინფორმატიზაციის მიმართ. არის მთელი რიგი ფაქტორები, რომელიც მოქმედებს საპირისპირო მიმართულებით და ჯამში მიყვავართ დანაკარგებთან მსოფლიო კეთილდღეობის დონეში.

ამრიგად, შეიძლება გამოიყოს ზოგიერთი ფაქტორი, რომელიც წარმოადგენს მიზეზებს რისკისა და განუსაზღვრელობისა ახალი ეკონომიკის პირობებში, _ ინფორმაციული ტექნოლოგიების (ინტერნეტის) განვითარება, საერთაშორისო კონკურენციის გაძლიერება, საერთაშორისო ვაჭრობის

მოცულობის და კაპიტალის მოძრაობის გადიდება, ახალი ფინანსური ტექნოლოგიების და ინსტრუმენტების (დერივატივი) გამოჩენა, სახელმწიფო რეგულირების შემცირება ეკონომიკის ძირითად სექტორებში და სხვა.

ეკონომიკის ფინანსიზაცია ასევე გავლენას ახდენს მსოფლიო ეკონომიკური სივრცის არასტაბილურობაზე. ეკონომიკის ფინანსიზაციის პროცესი წარმოადგენს მისი ფინანსური სექტორის ხვედრითი წილის ზრდას მსოფლიოს და განვითარებული ქვეყნების მშპ-ში და ამ სექტორის მნიშვნელობის ზრდას.

მსოფლიო ეკონომიკის არასტაბილურობის ფაქტორებს მივყავართ განუსაზღვრელობასა და რისკებთან, რომელსაც ექვემდებარება არა მხოლოდ სამეურნეო სუბიექტები, არამედ მთელი ეროვნული ეკონომიკაც.

თანამედროვე სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიები ანგრევენ გეოგრაფიულ და პოლიტიკურ საზღვრებს, რომლებითაც შემოფარგლულია ლოკალური ბაზრები. ამიტომ. ძალიან მნიშვნელოვანია გლობალური (მსოფლიო) ბაზრების ოპერირება გლობალური ინფორმაციის საფუძველზე რისკების გამოვლენისას, მათი გაზომვის, შეფასებას და მართვისას. უცხოელი მეცნიერები იკვლევენ ფინანსურ დერივატივებს, ფინანსური რისკების მართვის ინსტრუმენტების სახით. ფინანსურ დერივატივები წარმოადგენს ინსტრუმენტებს, რომლის საფუძველში დევს საბაზო აქტივ-ფასიანი ქაღალდების სახით, მაგალითად ობლიგაციები და აქციები. გარდა ამისა, საზღვარგარეთ აქტიურად ვითარდება ფინანსური ინჟინერინგი – ფინანსური დერივატივების გამოყენება რისკების მართვისთვის.

უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკურ მეცნიერებებში არასაკმარისადაა გამოკვლეული ფინანსური რისკის მართვის მექანიზმი. გლობალიზაციის პირობებში რისკის მართვა შეიძლება დავახასიათოთ როგორც მეთოდების, ხერხებისა და ღონისძიებების ერთობლიობა, რომელიც საშუალებას იძლევა გარკვეული ხარისხით მოხდეს პროგნოზირება სარისკო მოვლენების დადგომისა და მიიღოს ღონისძიებები ასეთი მოვლენების დადგომის უარყოფითი შედეგების შესამცირებლად ან გამოსარიცხად.

ჩვენს მიერ არსებული უცხოერენოვანი და ქართულენოვანი ლიტერა-

ტურის გაცნობის შედეგად, მივედით დასკვნამდე, რომ როგორი უცნაურიც არ უნდა იყოს, გლობალური ფინანსური კაპიტალის კონცეფციამ აქამდე ვერ ჰპოვა ეკონომისტების კვლევებში ღრმა თეორიული გაგება. ბოლო ათწლეულების გამოკვლევამ გვიჩვენა, ფინანსური ბაზრების, ფინანსური აქტივების უპრეცედენტო ზრდა, გლობალური ფინანსური კაპიტალის შეუზღუდავი და სუსტად რეგულირებადი უნარო. ამ უნარს არ შეუძლია ჩაახშოს არა მხოლოდ მთელი ეროვნული ბაზრები და სუვერენული ქვეყნების ეკონომიკა, არამედ გლობალური ფინანსური სისტემის განადგურება სისტემური ფინანსური რისკების რეალიზაციის გზით.

ზოგიერთმა ეკონომიკის მკვლევარმა, გამოიკვლია რა ფინანსური კაპიტალის ვირტუალური ფიქტიური ფენომენი, როგორც პროდუქტი ტოტალური ბაზრების ქსელის და კაპიტალის გლობალური ჰეგემონიისა, ვირტუალური ეკონომიკის და ფინანსური გლობალიზაციის პირობებში, უწოდებენ მას და შესაბამისად მთელ გლობალურ ფინანსურ სისტემას სტიქიურს, სუსტად რეგულირებად „შავ ყუთს“. გლობალური ფინანსური კაპიტალი იმდენად დიდი გაძლიერდა, რომ ნაკლებად კონტროლირებადი გახდა. გლობალური ფინანსური კაპიტალის მოძრაობა ქმნის სისტემურ ფინანსურ რისკებს.

ისინი გლობალურ საფინანსო კაპიტალს განსაზღვრავენ, როგორც ფინანსური კაპიტალის ყველაზე მაღალ ფორმას, რომელიც წარმოადგენს თავისუფლად მოძრავს მსოფლიო სამეურნეო სივრცეში, სუბიექტურად გამოხატულია საფონდო (განთავსებული ფასიან ქაღალდებში) ფულადი კაპიტალიც, რომელსაც შეუძლია ეფექტიანად გამოიყენოს მსხვილი ეკონომიკური სტრუქტურების ორგანიზაციული საორგანიზაციო კვლავწარმოების პოტენციალი, მათი კონკრეტული პროცედურები, ტექნოლოგიები და მართვის სისტემები, აპარატურა და პროგრამული უზრუნველყოფა, კონკრეტული ურთიერთობების ფორმები, რაც მას აძლევს შესაძლებლობას სისტემატურად მიიღოს მისთვის დამახასიათებელი შემოსავალი - ფინანსური რენტა, გადახდა ცვლილებების შედეგებისთვის.

გლობალური ფინანსური კაპიტალი საფრთხეს უქმნის საფინანსო

სისტემების მთლიანობას, კონცენტრირებულია ერთ ხელში და ახდენს ბაზრის მონოპოლიზაციას, ხელს უწყობს ჭარბ ეკონომიკას და სპეკულაციურ სეგმენტებს ქმნის, ემსახურება ჩრდილოვანი ეკონომიკისა და არაკეთილსინდისიერი ეკონომიკური სუბიექტების არალეგიტიმურ საქმიანობას, ინიცირებას უკეთებს სისტემურ ფინანსურ რისკებს.

ჩვენს მიერ სხვადასხვა ლიტერატურის ანალიზის/შეჯამების საფუძველზე გავაკეთეთ გლობალური ფინანსური კაპიტალის ახალი ინტერპრეტაცია - წარმოადგენს გლობალურ ეკონომიკაში დაგროვილი ფულადი სახსრების ერთობლიობის ღირებულებას, რომელსაც მოაქვს მათი მფლობელისადმი შემოსავლები სამმართველო საქმიანობის შედეგად, რომელსაც ახორციელებენ თავად მფლობელები ან მესამე პირები (რწმუნებულები, მმართველები).

თუ ადრე ფინანსური კაპიტალის ფუნქციებად ითვლებოდა ღირებულების შექმნა, დაგროვება, სამუშაო ადგილების უზრუნველყოფა, თანამედროვე პირობებში გლობალური ფინანსური კაპიტალი ასრულებს შემდეგ ფუნქციებს: 1. სისტემური ფინანსური რისკების აღმოჩენის/გამოვლენის ფუნქცია; 2. სივრცული ფუნქცია; 3. ინტეგრაციის ფუნქცია. 4. ვირტუალიზაციის ფუნქცია; 5. ინსტიტუციონალური ფუნქცია.

ჩვენს მიერ ჩატარებულია კვლევა საქართველოს ბიზნეს სექტორსა (სს საქართველოს ბანკის, სს თიბისი ბანკის, შპს გოლდი, შპს ავერსი და სხვ.) და აკადემიურ სივრცეში (გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში და სხვ.) ზოგადად ეკონომიკური, კონკრეტულად კი, ფინანსური რისკების აღქმადობის, იდენტიფიკაციის, პრევენციისა და მენეჯმენტის შესახებ.

კვლევის შეჯამების და ანალიზიდან გამომდინარე, ჩამოყალიბებულია არგუმენტირებული დასკვნები და რეკომენდაციები საქართველოში ფინანსური გლობალიზაციის მიმდინარე ეტაპზე საფინანსო რისკების მინიმიზაციის, ბიზნეს სექტორში რისკების აღქმადობის, ფინანსური რეგულირების შემდგომი რეფორმირების შესახებ.

ჩვენ მიერ შემოთავაზებულია, მოდელის ადრეული გაფრთხილების

სისტემა, რომელიც დაფუძნებულია რისკების უწყვეტი მონიტორინგისა და პრევენციული ღონისძიებების გატარებაზე. ფინანსური ზედამხედველობა არის უწყვეტი პროცესი, რომელიც მოიცავს რიგ ეტაპებს. ჩვეულებრივად, ჩვენ შეგვიძლია პირობითად განვსაზღვროთ ზედამხედველობის სამი ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი: 1. სამეთვალყურეო ორგანოს საქმიანობის დაგეგმვა; 2. საფინანსო ინსტიტუტებზე ზედამხედველობა შერწყმული პროფილაქტიკურ საქმიანობასთან, აუცილებლობის შემთხვევაში და რისკების თავიდან ასაცილებლად; 3. საფინანსო ინსტიტუტებზე ადმინისტრაციული ზეგავლენა მაკორექტირებელი მოქმედებების შეუსრულებლობისას, რომელიც რეკომენდებულია საზედამხედველო ორგანოების მიერ.

ჩვენ მოკლე კომენტარს ვაკეთებთ სამეთვალყურეო საქმიანობის ეტაპების შინაარსზე. საფინანსო ზედამხედველობის ეფექტურობის მნიშვნელოვანი პირობა არის ზედამხედველობის ორგანოს საქმიანობის დაგეგმვა, რომელიც ხორციელდება საფინანსო ინსტიტუტის საქმიანობის თითოეული სახის რისკის შეფასების შედეგების საფუძველზე განხორციელებული და ყველა კომპანიის განაწილება ზედამხედველობის კატეგორიების (რისკის კატეგორიების) და/ან რისკის შეფასების (შედგენილ, ინტეგრალური) მიხედვით. ზედამხედველისათვის მიზანშეწონილია ყოველწლიურად რამოდენიმე წლით ადრე (დაახლოებით სამი წლით ადრე) ზედამხედველობის სტრატეგიის შემუშავება, აგრეთვე ყოველწლიური ზედამხედველობის გეგმები, მათ შორის ადამიანური რესურსების ხარჯების დაგეგმვა და განაწილება, თითოეული რისკის კატეგორიისა და კომპანიის მიხედვით (დამოკიდებულია ქვეყანაში კომპანიების, მათი რაოდენობის და სიდიდის მიხედვით).

დასკვნა

გლობალიზაციის პირობებში ფინანსური რისკების სისტემურ მართვასა და მასთან დაკავშირებული საკითხების კვლევისა და შესწავლა-ანალიზის საფუძველზე, შესაძლებელია გაკეთდეს შემდეგი სახის დასკვნები და რეკომენდაციები:

- ფინანსური სექტორის გამართული ფუნქციონირებისათვის საბანკო

სექტორთან ერთად პრუდენციულ ზედამხედველობას არასაბანკო სექტორიც უნდა დაექვემდებაროს, რაც ფინანსური ინსტიტუტის რისკის პროფილისა და სიდიდის მიხედვით უნდა განხორციელდეს.

➤ წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს (ოპციონები, ფორვარდული კონტრაქტები, სავალუტო სვოპები და ფიუჩერსები). ამის მიზეზი არის ის, რომ ასეთი ფინანსური ინსტრუმენტები ჯერ-ჯერობით საკმაოდ ახალია ქართული ფინანსური სისტემისათვის, ამავ დროს ამ რისკების გაანალიზება და შესწავლა აუცილებელია, რადგან მათი კომპლექსური ბუნების გამო არსებობს იმის რისკი, რომ ვერ მოხდეს ამ ინსტრუმენტების მართებული აღქმა და შესაბამისად მათზე არსებული რისკების ადექვატური შეფასება. როგორც შესავალშიც იყო აღნიშნული, კომპლექსური ფინანსური ინსტრუმენტების არასათანადო შეფასება ფინანსური კრიზისის ერთ-ერთი მაპროვოცირებელიც კი გახდა.

➤ დერივატიული ფინანსური ინსტრუმენტებისათვის დამახასიათებელია ყველა ის რისკი, რაც ზემოთმოყვანილი ფასიანი ქაღალდებისა თუ კაპიტალის ინსტრუმენტებისათვის. ამასთანავე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ დერივატივის ღირებულება იცვლება მის საფუძველში არსებული ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების გამო.

➤ ფინანსური ინსტრუმენტების ყოველი სახეობისათვის დამახასიათებელია ე.წ. ზოგადი ანუ სისტემური რისკები, რომელთა ცოდნა და შეფასება სავალდებულოა ინვესტირების გადაწყვეტილებისათვის. ეს რისკებია: ეკონომიკური რისკი (ეკონომიკური ციკლის გავლენა), ინფლაციის რისკი (ინვესტირების გადაწყვეტილებისათვის აუცილებელია რეალური უკუგების დათვლა, რაზედაც თავის მხრივ გავლენას ახდენს რეალური და მოსალოდნელი ინფლაცია), ლევერეჯის რისკი (კრედიტით შექმნილი ფინანსური ინსტრუმენტები საბაზრო ფასების მიმართ უფრო მგრძობიარეა), პოლიტიკური რისკი (მთავრობის ქმედებას შეიძლება მოყვეს ეკონომიკური და პოლიტიკური არასტაბილურობა, რაც თავის მხრივ გავლენას ახდენს ქვეყნის ვალუტაზე და მის კონვერტირებაზე); ვალუტის რისკი (გაცვლითი კურსის ცვალებადობის გავლენა ფინანსური ინსტრუმენტის ფასზე); ლიკვიდობის

რისკი (ფინანსური ბაზრის დაბალი ლიკვიდობის გამო შესაძლებელია გაძნელდეს ფინანსური ინსტრუმენტის გაყიდვა საჭირო ფასად), სუბიექტური რისკი (ინსტრუმენტის საბაზრო ფასი მგრძნობიარეა ბაზის მოთამაშეების ქცევის, საბაზრო ინფორმაციისა და სხვადასხვა სუბიექტური ფაქტორების მიმართ);

➤ ფინანსური ინსტრუმენტების რისკების შეფასების ერთ-ერთ მთავარ მეთოდს სადღეისოდ ე.წ. VaR (Value at Risk) მიდგომა წარმოადგენს. უფრო ზუსტად, ფინანსური ინსტრუმენტების რისკის შეფასება ეფუძნება ამ ინსტრუმენტების ე.წ. VAR (Value at Risk) ღირებულების გამოთვლას ანუ იმ მაქსიმალური დანაკარგის შეფასებას, რაც შეიძლება განიცადოს საინვესტიციო პორტფელმა. ფინანსური ინსტრუმენტების რისკის შეფასების საბაზისო მახასიათებლებთან ერთად (ფულის ღირებულება დროში, ინვესტიციის შიდა უკუგება IRR და მიმდინარე ღირებულება PV) განხილული იქნა თანამედროვე, ინოვაციური ფინანსური ინსტრუმენტებისათვის საჭირო მექანიზმები.

➤ საფინანსო სექტორი ზოგადად და კონკრეტულად კი საბანკო სექტორი, განსხვავებულია სხვა ინსტრუქტივისაგან უპირველეს ყოვლისა იმით, რომ მისი სრული ანდა ნაწილობრივი გაკოტრებაც კი დიდ გავლენას ახდენს ეკონომიკაზე, სისტემურად მნიშვნელოვანი ბანკების წარუმატებლობა სავსებით შესაძლებელია მთელს ეკონომიკაში დიდი სირთულეების მიზეზი გახდეს. ერთ ბანკში დაწყებული კრიზისი შესაძლებელია გადამდები აღმოჩნდეს სხვა ბანკებისა და ფინანსური ინსტიტუტებისათვის, რამაც თავის მხრივ შეიძლება სისტემურ რისკს დაუდოს სათავე.

ნაშრომის აპრობაცია

დისერტაციის თემაზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის საგამოცდო კომისიაში დაცულ იქნა ორი კოლოკვიუმი და ორი სემინარი:

კოლოკვიუმები:

1. კოლოკვიუმი 1 – „ფინანსური სისტემების შინაარსი და თავისებურებანი“ (02.03.2018)
2. კოლოკვიუმი 2 – „ფინანსური რისკების მართვის მიზანი, შეფასების მაჩვენებლები და მეთოდები“ (13.07.2018)

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგები გამოქვეყნებულია შემდეგ პუბლიკაციებში:

სტატიები:

1. ჟურნალი „ეკონომიკა“ - „გლობალური ფინანსური კაპიტალი, როგორც ფინანსური რისკის წყარო“-რეფერირებადი მარტი-აპრილის ნომერი 2019. გვ. 80-87.
2. ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“ - „გლობალიზაცია, როგორც ფინანსური ზრდის ფაქტორი“, მარტი-აპრილის ნომერი 2019.
3. ჟურნალი „ბიზნესინჟინერინგი“ - ფინანსური მენეჯმენტი და ეფექტიანი მართვის პრობლემები“ - N 3, 2017, გვ.160-163.
4. ჟურნალი „ეკონომიკა და ფინანსები“ - „სისტემური რისკები და მიდგომები ფინანსური ბაზრების საერთაშორისო რეგულირების N 3. 2018 წ. გვ. 31-43.
5. ჟურნალი „ეკონომიკა და ფინანსები“ - „სისტემური (ერთდროულად მოქმედი) რისკების თანამედროვე გაგებისთვის“ 4, 2018, გვ.139-151.

კონფერენციები:

1. „სისტემური რისკები და მიდგომები ფინანსური ბაზრების საერთაშორისო რეგულირების მიმართ“ – საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

„მეცნიერება პრაქტიკისა და განვითარებისთვის“ - 15.07.2018. საქართველო, ქარელი 2018 წ.

2. „ფინანსური რისკების სისტემა და მისი მართვის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „Seu and ciencia 2017“-23.06.2017, გვ.168-174.

3. „გლობალურ საფინანსო ბაზრებზე არსებული რისკების სისტემა“- საერთაშორისო კონფერენცია, ბაქო 22-24 თებერვალი. 2019, გვ.155-165.

4. „Ensure the transparency and reduction of corruption risks in public finance and government purchase sphere” - კონფერენცია, ნოვოსიბირსკი 18-27 აპრილი, 2017 წ.